ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექცია

№ 4-11/ლ035-22
„29" 07 2022 წ

დადგენილება №002027
სამშენებლო სამართალდარღვევის
საქმეზე

29.07.2022წ.

ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7

მე, მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა, მამუკა ჯაჯულმა, განვიხილე, 2022 წლის 25 თებერვლის №002027 მითითება და 2022 წლის 30 მარტის №002027 შემოწმების აქტი შედგენილი ანათ მარომის (დაბ. 25.01.1957, P/N:01092004239 C/N:39001735; მის: ქ. თბილისი, გრომნოს ქ. №9 ბ. 2), იოჰევედ კროუზმანის (დაბ. 29.09.1945, C/N:478813788), ორ (ორით) მარომ მაიმონის (მარომ) (დაბ. 23.09.1979, P/N:0-3596397-4 C/N:31691791), სარა კაპლანის (დაბ. 16/02/1951, P/N: 0-5057498-7 C/N: 39010468;) და ჰავა შანის (C/N:4704291318) მიმართ, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 132-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა" ქვეპუნქტის „ა.გ." ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დარღვევაზე და გამოვარკვიე:

ქ. თბილისში, ქუჩა ამაღლება, №26, №01.15.05.091.013 საკადასტრო კოდზე, განხორციელდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 8 ნოემბრის №2911015 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით, კერძოდ: ფასადებზე ნაწილობრივ შეცვლილია გარე კედლების ფორმა და გაბარიტი, ასევე, შეცვლილია ფასადების მოპირკეთების გაბარიტი. მოაჯირების მოწყობა ნაწილობრივ არ შეესაბამება საპროექტოს. +3.23 ნიშნულის ზემოთ სართულებზე შეცვლილია კიბის საფეხურების რაოდენობა და გაზრდილია კოლონების რაოდენობა. „გეგმა +3.23 ნიშნულზე": „A" ღერძთან აივნის კარის ღიობს მონაცვლებული აქვს ადგილი. „გეგმა +6.46 ნიშნულზე": „A" და „2" ღერძების კვეთასთან კოლონას მონაცვლებული აქვს ადგილი. „A" და „1" ღერძების კვეთასთან აივანზე დამატებით მოწყობილია კაპიტალური კედელი. აივნების მოწყობა არ შეესაბამება საპროექტოს. „გეგმა 9.69 ნიშნულზე": შეცვლილია ფილის, კედლების და მოაჯირების კონფიგურაცია.

მუნიციპალური ინსპექციის მიერ, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 123-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, სამართალდამრღვევების

ქ. თბილისი 0160, ჟ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 2 378 501, 2 378 396

[illegible] 12.10.2022წ.

მიმართ, 2022 წლის 25 თებერვალს, გაიცა №002027 მითითება, რომლითაც განესაზღვრათ 25 (ოცდახუთი) კალენდარული დღის ვადა და დაევალათ უსაფრთხოების წესების დაცვით, ობიექტის შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტთან შესაბამისობაში მოყვანა.

2022 წლის 30 მარტს, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 124-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, მუნიციპალური ინსპექციის მიერ შედგა №002027 შემოწმების აქტი, რომლითაც დაფიქსირდა მითითებით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობა.

2022 წლის 19 აპრილს, მოცემულ საქმესთან დაკავშირებით გაიმართა ზეპირი განხილვის სხდომა. საქმის განხილვის თარიღისა და დროის შესახებ მხარეს ეცნობა კანონის შესაბამისად. სხდომაზე მხარე არ გამოცხადდა.

2022 წლის 5 მაისს, მოცემულ საქმესთან დაკავშირებით, კვლავ გაიმართა ზეპირი განხილვის სხდომა. საქმის განხილვის თარიღისა და დროის შესახებ მხარეს ეცნობა კანონის შესაბამისად. სხდომაზე გამოცხადდა ანათ მარომი, რომელმაც მოითხოვა სხდომის გადადება, ვინაიდან სურს პოზიციის დაფიქსირდება წარმომადგენელთან ერთად. სხდომა გადაიდო 2022 წლის 19 მაისს, 10:00 სთ-ზე.

2022 წლის 19 მაისს და 2022 წლის 25 მაისს, მოცემულ საქმესთან დაკავშირებით გაიმართა ზეპირი განხილვის სხდომები. საქმის განხილვის თარიღისა და დროის შესახებ მხარეს ეცნობა კანონის შესაბამისად. სხდომებზე მხარე არ გამოცხადდა.

საქმეშია, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის უფროსის, 2022 წლის 30 მაისის №4-3/105-გ/22 ბრძანება, რომლითაც ანათ მარომის, იოჰეენედ კროუზმანის, სარა კაპლანის, ჰავა შანის და ორ (ორით) მარომ მაიმონის (მაროմ) მიმართ დაწყებულ სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე, დადგენილების მიღების ვადა გაგრძელდა 2 თვით. დადგენილების მიღებისთვის გაგრძელებული ორთვიანი ვადა აითვალა 2022 წლის 30 მაისიდან 2022 წლის 29 ივლისის ჩათვლით.

2022 წლის 13 ივლისს, მოცემულ საქმესთან დაკავშირებით კვლავ გაიმართა ზეპირი განხილვის სხდომა. საქმის განხილვის თარიღისა და დროის შესახებ მხარეს ეცნობა კანონის შესაბამისად. სხდომაზე მხარე არ გამოცხადდა.

2022 წლის 29 ივლისს, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის სპეციალისტის მიერ, ობიექტის ხელმეორედ გადამოწმებისას შედგენილი მოხსენებითი ბარათით დგინდება, რომ ანათ მარომის, იოჰეენედ კროუზმანის, სარა კაპლანის, ჰავა შანის და ორ (ორით) მარომ მაიმონის (მარომ) მიერ კვლავ არ იქნა შესრულებული მუნიციპალური ინსპექციის 2022 წლის 25 თებერვლის №002027 მითითებით გათვალისწინებული მოთხოვნები. საქმეშია, ობიექტის ამსახველი ფოტომასალა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან ჩადენილია საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 132-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ" ქვეპუნქტის „ა.გ." ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამშენებლო სამართალდარღვევა, კერძოდ, ქ. თბილისში, ქუჩა ამაღლება, №26, №01.15.05.091.013 საკადასტრო კოდზე, განხორციელდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 8 ნოემბრის №2911015 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით,

ვიხელმძღვანელე რა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ", საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 122-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 125-ე მუხლის მე-4 ნაწილით, 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 128-ე მუხლის მე-3 ნაწილით და 132-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა" ქვეპუნქტის „ა.გ." ქვეპუნქტით და

დავადგინე:

1. **ანათ მარომი, იოჰეეედ კროუზმანი, ორ (ორით) მარომ მაიმონ (მარომ), სარა კაპლან, ჰავა შანი** დაჯარიმდნენ 10 000 (ათი ათასი) ლარით, ქ. თბილისში, ქუჩა ამაღლება, №26, №01.15.05.091.013 საკადასტრო კოდზე, შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით III კლასის შენობა-ნაგებობის (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი) მშენებლობისათვის;

2. **ანათ მარომის, იოჰეეედ კროუზმანის, ორ (ორით) მარომ მაიმონს (მარომ), სარა კაპლანს, ჰავა შანის** დაეკისროთ, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ჯარიმა გადაიხადონ ბიუჯეტის სასარგებლოდ დაჯარიმების შესახებ დადგენილების ჩაბარებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში:

საჯარიმო თანხა ჩაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე - **მიმღების დასახელება:** ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, **მიმღების ბანკი:** სახელმწიფო ხაზინა, **ბანკის კოდი: TRESGE22, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 300773263, გადახდის დანიშნულება:** დადგენილების ნომერი სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე;

3. საჯარიმო თანხის ნებაყოფლობით გადახდის შემთხვევაში, **ანათ მარომის, იოჰეეედ კროუზმანის, ორ (ორით) მარომ მაიმონს (მარომ), სარა კაპლანს, ჰავა შანის** დაეკალოთ, შესაბამისი გადახდის ქვითრის წარმოდგენა;

4. სამართალდამრღვევებს განემარტოთ, რომ საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 126-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, სამშენებლო სამართალდამრღვევს დაერიცხება საურავი სამშენებლო სამართალდამრღვევის დაჯარიმების შესახებ დადგენილებით განსაზღვრული საჯარიმო თანხის ოდენობით;

5. სამართალდამრღვევებს განემარტოთ, რომ საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 126-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დაკისრების საფუძვლების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, მისი დაკისრებიდან ყოველი სამი თვის შემდეგ, სამშენებლო სამართალდამრღვევს დაერიცხება თავდაპირველად დაკისრებული ჯარიმით გათვალისწინებული საჯარიმო

თანხის სამმაგი ოდენობით, რომელიც მას შეიძლება დაეკისროს არაუმეტეს სამჯერ;

6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან 15 კალენდარული დღის ვადაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მის.: ქ. თბილისი, ქ. შარტავას ქ. №7).

მუნიციპალური ინსპექციის
უფროსის მოვალეობის შემსრულებელი [illegible]აყელი

საგადასახადო დავალება
Payment Order

0 GEL

ს.ს. „თიბისი ბანკი"

თარიღი / Date: 09/11/2022

გადამხდელი / sender
ანათ მარომი, GE,19PR04871

რეფერენსი / Ref. Num.
8231372884

გადამხდელის ანგარიში / Sender's Account: GE46TB7062845163400002

თანხა / Amount
10000 GEL

გადამხდელის ბანკი / Sender's bank: *სს თიბისი ბანკი*
ბანკის კოდი / Bank Code: *TBCBGE22*

ინფორმაცია პირზე, რომლის მაგივრადაც სრულდება გადახდა
informamtion on a person on behalf of whom the payment is made

დასახელება / Name: *ანათ მარომი, GE,19PR04871*

თანხა სიტყვიერად
Amount in words
ათი ათასი ლარი 00 თეთრი

საიდენთიფიკაციო კოდი / Sender's Tax Code: 01092004239

მიმღები / Receiver
ხაზინის ერთიანი ანგარიში, სხვა შემოსულობები (თვითმმართველი ქალაქი თბილ

გადარიცხვის საკომისიო
Transfer Fee
7 GEL

მიმღების ანგარიში / სახაზინო კოდი Receiver's Acc. /Treasury Code: 300773263

მიმღები ბანკი / ხაზინა Receiver's Bank / Treasury: *ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური*
ბანკის კოდი / Bank Code: *TRESGE22*

ბანკში საგადახდო დავალების მიღების/წარდგენის თარიღი/Document submission/receiving date
09/11/2022

გადახდის დანიშნულება / Operation Details
შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ - სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო

დამატებითი ინფორმაცია / Additional information
დადგენილების ნომერი სამართალდარღვევის საქმეზე N 002027

ხელმოწერა
Signature

შტამპის ადგილი

ხელმოწერები
Signatures

ბ.ა.

ამ დოკუმენტის ხელმოწერით კლიენტი ადასტურებს, რომ დეტალურად იცნობს სს თიბისი ბანკის ფილიალებში და ინტერნეტ-გვერდზე www.tbcbank.ge განთავსებული საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულების პირობებს (ამ ხელშეკრულებაში შეტანილ ყველა ცვლილებასა და დამატებას) და ეთანხმება მათ, რითაც უერთდება ზემოხსენებულ ხელშეკრულებას.საგადახდო დავალების საკომისიოს დათვლის პრინციპი შეგიძლიათ იხილოთ ბანკის ინტერნეტ გვერდზე: www.tbcbank.ge

10/11/2022 12:37:12 PM
8231372884

my.gov.ge

"ელექტრონული სერვისების ერთიანი პორტალი"
საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ. „ციფრული მმართველობის სააგენტო“

კორესპონდენცია წარმოებულია საჯარო უწყებებთან მიმოწერის სერვისის მეშვეობით

№ CA00412211288938 **10.11.2022**

ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის მერია
მუნიციპალურ ინსპექციას

ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის მერია
არქიტექტურის სამსახურს

სათაური: 10000 ლარიანი ჯარიმის ქვითარი 12 10 2022 წელს ჩაბარებულ აქტზე გადახდილი (ამაღლების 26)

შინაარსი: 2022 წელს ჩაბარებულ აქტზე გადახდილია (ამაღლების 26) 10000 ჯარიმის ქვითარი. გთხოვთ, გაითვალისწინოთ. ანათ მარომის და სხვათა ადვოკატი

დოკუმენტები:
1) 10000 ლარიანი ჯარიმის გადახდის ქვიტარი.jpg;

პატივისცემით,

ზურაბ ვანიშვილი
პ. #: 59001013409

მობილური: +995577529937
ელფოსტა: zvani777@gmail.com